გურანდა გობიანი
ქუთაისის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
gobianiguranda78@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.20

ხალხური პარადოქსი და ,,დაინვალიდებული“ თავისუფლების ცნება თამაზ ჭილაძის პიესაში - ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“

,, ზღაპარ იყო , ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში ლაღად იყო,
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
ერთი კაცის ლუკმა იყო”
(ხალხური)

სიტყვა ,,პარადოქსი“ ბერძნულია და ,,რწმენის მიღმას“ ნიშნავს. ბერძნები ამ კონცეფციაში საღი აზრის საწინააღმდეგო ნებისმიერ მოსაზრებას გულისხმობდნენ, თუმცა თანამედროვე გაგებით პარადოქსი ფართო ცნებაა და ნიშნავს როგორც საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების მკვეთრად საწინააღმდეგო მსჯელობას, ასევე გამონათქვამს, რომლის ჭეშმარიტება ცხადია და მას მივყავართ წინააღდეგობისაკენ.

თავად ტერმინი ,,პარადოქსი”, თავისი შინაარსობრივი დატვირთვით, არაჩვეულებრივს, უცნაურს, მოულოდნელს ნიშნავს, რაც სავსებით ორგანულია მხატვრული ნარატივისთვის. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს და განსაზღვრავს, მეტწილად, ლიტერატურული ნაწარმოების ექსპრესიულ-ემოციურ ჟღერადობას. როგორც ცნობილი მწერალი თამაზ ჭილაძე აღნიშნავს: ,,სწორედ დრამატურგიაა ყველაზე იდუმალი, თითქმის ეზოტერიული აქტი, რამდენადაც ჩვენ თვალწინ იქმნება ფანტასტიკური მეორე სინამდვილე….რომელსაც თავისი ხმა აქვს, თავის ფერი, თავისი ტანჯვა და სიხარული. ...მაგრამ ამავე დროს, აშკარად სხვაა, ..სხვა არაფერია, თუ არა **ნოსტალგია საკუთარ პიროვნებაზე**” [7:4].

პიროვნება თავისი არსით წინააღმდეგობრივი ფენომენია. ,,გაშიშვლებული ანატომია სულისა”, ,,ნოსტალგია საკუთარ პიროვნებაზე”, ,,უპოეზიოდ არსებობა”, მორალურ-ზნეობრივი კომპრომისები, პიროვნების გამანდგურებელი კატასტროფები, ცხოვრებისეული პარადოქსები - სწორედ ეს არის თამაზ ჭილაძის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური დრამის ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო” აზრობრივ-კომპოზიციური სტრუქტურის მამოძრავებელი კვანძი. საინტერესოა პიესის დაწერის თარიღიც, 2003 წელი, საქართველოს ისტორიის პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი და მძაფრი პერიოდი, როდესაც დაწყებულია ფაქტებისა და ღირებულებების გადაფასება და წარსულისა და აწმყოს შეფასება, ე.წ. ,,ვარდების რევოლუციის “ ხანა. ნაწარმოების მიმართ ინტერესსზე მეტყველებს ისიც, რომ 2007 წლის თეატრალურ სეზონში პიესის უკვე ოთხი სცენური ინტერპრეტაცია არსებობდა (მათ შორის ბათუმის, გორის და თელავის თეატრებში, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე) და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინტერესი და აქტუალობა დღემდე შენარჩუნებულია მასში დასმული პრობლემის არსისა და საკვანძო საკითხებიდან გამომდინარე.

ტექსტის დასწყისში ავტორი მიგვანიშნებს, რომ მოქმედება ხდება წყნეთის სამთავრობო მდიდრულ აგარაკზე და ავანსცენაზე დგას ორი პიროვნება, ორი პოლიტიკოსი, ორი დიდი ხნის ,,მეგობარი", ანდრო და ბაადური, რომელთაც ქვეყნის ბედი აბარიათ. დიალოგი იწყება ანდროს რეპლიკით: ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო…", რომელიც მთლიან ფონად გასდევს და კომპოზიციურად კრავს ინტერტექსტს. ხალხური ლექსი დრამაში დაუსწრებლად არსებობს და მკითხველს ცხოვრებისეულ პარადოქსულ, წინააღმდეგობრივ მოვლენებზე მიანიშნებს, რაც სიუჟეტს კიდევ უფრო ექსპრესიულს ხდის. პერსონაჟთა წრე, რომელიც ორმოქმედებიან დრამაშია წარმოდგენილი, ფაქტობრივად, არის იმ საზოგადოების, სოციუმის განზოგადებული სახე, რომელიც ცხოვრების ჩარხის ტრიალით ძალაუფლების, ძლევამოსილების ტყვეობაში მოექცა და სახე დაკარგა, რომელიც, როგორ ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, ,,მძაფრი (შეიძლება ითქვას, კრიტიკული) რეალიზმის გზით აპირებდა სიარულს და, სამწუხაროდ, ამასაც, ისევე, როგორც ყველაფერ დანარჩენს, ქვეყანაში იმხანად არსებულმა არეულობამ და მალევე დაწყებულმა პროცესებმა შეუშალა ხელი" [3]. თუმცა მანამდე იყო: 1989 წლის 9 აპრილი, კომუნისტური რეჟიმის დასუსტება, ეროვნული მოძრაობა, 1990 წლის 9 მარტის და 20 ივნისის დადგენილებები, რომლებითაც, ფაქტობრივად, უკანონოდ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, 1992-1993 წლის აფხაზეთი ომი და მავთულხლართების მიღმა დარჩენილი საქართველო.. ყველა ამ პროცესის მონაწილე და მთავარი როლის შემსრულებელი იყო პატრიოტული სულისკვეთებით აღტკინებული ხალხი, საზოგადოება, რომელსაც სათავეში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ედგა…მაგრამ მერე… არაფერი იცვლება სამყაროში: ,,მერე ფარული, შიდა ომი თანამებრძოლებს შორის, მეგობართა გვამებზე გადაბიჯება...მოკლედ არაფერი ახალი" [8:401]. ეს ფრაზა ჭილაძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი დრამატული ნაწარმოებიდანაა, ასევე პარადოქსული სათაურით - ,,სარკე ბრმებისთვის"- რომელიც 2012 წელსაა დაწერილი და ზუსტად, ფოტოგრაფიული სიზუსტით აღწერს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს [2]. რა დაემართა მეამბოხე, მებრძოლი სულის მქონე ადამიანებს, სად გაქრა ის სიყვარული და შემართება - თანასწორობა, თავისუფლება, ძმობა, ერთობა?! - პასუხი მარტივია - ძალაუფლებამ, გადიდკაცებამ, ცრუ წარმატებამ, ,,ჯგუფურმა აზროვნებამ" შთანთქა და გაანადგურა - აქაც ახალი არაფერია. მოვუსმინოთ უსულოდ დარჩენილი ,,ქვეყნის მესვეურების" დიალოგს:

ანდრო: იცი რაზე ვფიქრობ? სული იშვიათი საქონელია-მეთქი…

ბაადური: სული საქონელია?

ანდრო: კი, საქონელია, საქონელია სული, ეშმაკს სული მიჰყიდაო არ გაგიგია? წინათაც საქონელი იყო და ახალაც საქონელია, იშვიათი, ძვირფასი საქონელი, იმიტომ რომ ასეთი მუშტარი ჰყავს. ეშმაკი! აი, შენ, მაგალითად, არ გინდა, სული გქონდეს?"

ქვეყნის სათავეში დგას ადამიანთა წრე, რომელთათვისაც ,,ძალაუფლება მისი ბოროტი გამოყენების გარეშე, ძალაუფლება არ არის" და რომელთა ურთიერთობებიც მხოლოდ ტყუილზე, ღალატზე, გამორჩენაზე, ერთმანეთის ჩაძირვასა და სიძულვილზეა აგებული:
ყალბი მეგობრობა - ბაადური ანდროსთან ტოვებს თავის, ოცდაათი წლით უმცროს, ცოლს, დელის, (რომელიც ოდესღაც ანდროს საყვარელი იყო და აღმოჩნდა, რომ ახლა მისი შვილის, ოცი წლის დათოს საყვარელია, რომლისგანაც შვილს ელოდება), კონკრეტული ,,მისიით" - დაითანხმოს ნებისმიერი მეთოდის და ხერხის გამოყენებით ანდრო, მიიღოს ,,სწორი" გადაწყვეტილება, რადგან მისი სიტყვა გადამწყვეტია. ამ ქაოსურ, ამაზრზენ სასიყვარულო

ბატალიებში ყველაზე დიდი პარადოქსი ის არის, რომ ბაადურმა ყველაფერი კარგად იცის და მზადაა ,,ქვეყნის ინტერესებისთვის" პირადი ამბიციები და ღირსება დაივიწყოს.

ყალბი ოჯახები და სასიყვარულო ურთიერთობები - ერთი მხრივ ბაადურის და დელის ზემოხსენებული ,,სანიმუშო" ,,იდილია" და მეორე მხრივ ანდროსა და მისი ცოლის, დოდოს ოცდახუთწლიანი თანაცხოვრება, რომელიც ანდროს მკვლელობით სრულდება, სადაც მთავარი ფიგურა სწორედ ანდროსთვის ყველაზე საყვარელი და საიმედო ადამიანი, დოდოა…,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო… ".

ყალბი პატივისცემა და ერთგულება - ანდროს პირადი მცველი ვაჟა, რომელიც ნანატრ ვაჟიშვილს, მამის დიდი სურვილის გათვალისიწინებით და უფროსისადმი თაყვანისცემის ნიშნად, მის სახელს არქმევს, ასევე ერთ-ერთი მთავარი თანამონაწილეა ანდროს შეკვეთილი მკვლელობის. აქაც არაფერია ახალი… მეგობრების, საყვარელი ადამიანების, ავტორიტეტების ,,გვამებზე გადაბიჯება"...

ანდროს სიცოცხლეც და სიკვდილიც სხვა არაფერია, თუ არა ერთი დიდი პარადოქსი. თავისუფლებისათვის მებრძოლი, ყოფილი პოლიტიკური დისიდენტი, პოლიტიკური პატიმარი და აწ უკვე მაღალი თანამდებობის პირი, სრულ წინააღმდეგობაშია საკუთარ თავთან. კიდევ ერთხელ დაჟინებით ითხოვენ მისგან ხალხის, ქვეყნის საზიანო გადაწყვეტილების მიღებას, კიდევ ერთხელ უნდა უღალატოს იმ ღირებულებებს და პრინციპებს, რომლისთვისაც მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდა. იცის რომ ეს პირველი არაა, ისიც კარგად იცის რომ სინდისის ქეჯნა სეზონური არ არის და უკვე ბევრი ცოდვა აწევს კისერზე: მოწამლული საქონლის შემოტანა, ქრთამის აღება, უსამართლობაზე თვალის დახუჭვა, განსხვავებული აზრის მიუღებლობა… თავიდან რთული იყო, გაუჭირდა საკუთარი თავის და სინდისის სეიფში დატოვება დოლარებისა და ოქროს ზოდების სანაცვლოდ, მაგრამ მერე ნელ-ნელა შეეჩვია, გემო გაუგო და ისიც სხვებივით ,,ღორის კოლტში" აღმოჩნდა. მაგრამ ძალაუფლების სიმარტოვეში დარჩენილმა და სულიერად ,,დაინვალიდებულმა", გვიან, მაგრამ მაინც იგრძნო რაში იყო ნამდვილი ბედნიერება: ,,იცი ბედნიერი როდის ვიქნებოდი? - მიმართავს ცოლს - ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად: მთელი სიცოცხლე ციხეში რომ ვმჯდარიყავი და თავისუფლებაზე მეფიქრა. თავისუფლებამ მონებად გადაგვაქცია. თუ ხვდები რატომ? ჩვენ ისე ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, არ ვიცოდით რა იყო ნამდვილი თავისუფლება. მაშინ სული სუფთა მქონდა, სპირტის ალივით …."(343). ახლა სიტყვა ,,ღალატი", რომელიც, ანდროს ,,მე-უღლისთვის" მხოლოდ პირობითი, პარადოქსული ცნებაა და ,,ორი ბოლო აქვს, ერთი თუ ღალატად აღიქმება, მეორე ერთგულებად, ზოგჯერ გმირობათაც კი", ,,უტყუარი სამხილივით" გვამივით ტივტივებს მის გონებაში და მოსვენებას არ აძლევს რწმენაშერყეულს: ,,ჩემს თავს ვუღალატე, ჩემს რწმენას".

სწორედ ანდროს ფსიქოტიპში, რომელიც ანტიგმირის და გმირის ერთგვარი სინთეზია, იყრის თავს პიესაში დასმული პრობლემის ფსიქოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური ასპექტები, რომლებიც ორი უმთავრესი ფაქტორის, მემკვიდრეობითობის და გარემოს ურთიერთქმედების შედეგია. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ ფაქტორს, აქ უმნიშვნელოვანეს როლს გენეტიკური ველი, წარმომავლობა თამაშობს. ამ ჯაჭვში ანდრო შუალედური რგოლია, რომლის უკან დგას ღირსეული მშობლები და წინ - პოეზიაზე შეყვარებული, ჯერ კიდევ მეოცნებე შვილი - წარსული, აწმყო და მომავალი. განსაკუთრებით ორიგინალურად შემოჰყავს ავტორს ავანსცენაზე ანდროს მამა, ინტელიგენტური გარეგნობის ბატონი დავითი, ,,მასწავლებელი… ჭკუის დამრიგებლი. მოძღვარი. ქომაგი. მეგობარი…ნათელი აზროვნების კაცი…", რომელიც ,,თავისუფლებას" ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული,

მეხსიერებადაკარგული, მაგრამ რწმენაშენარჩუნებული ხვდება, ხელში პატარა დროშა უჭირავს და მხოლოდ ორ სიტყვით ამყარებს კონტაქტს გარესამყაროსთან: ,,გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს თავისუფლებას!" ეს სცენა რამდენჯერმე მეორდება პიესაში ერთგვარი დისონანსის სახით და არა მხოლოდ ამ კონკრეტულ საზოგადოებას, ადამიანთა მოდგმას შეახსენებს, რომ ბედნიერება თავისუფლებაშია.

არანაკლებ საინტერესოა ანდროს დედის, ქალბატონი ბაბის სახე, როგორც სიმბოლო ერთგულების, პატიოსნების, თავდადების, სამშობლოს სიყვარულის. კიდევ ერთი დიდი პარადოქსი ანდროს ცხოვრების ის არის, რომ სწორედ მეუღლე, რომელიც მის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე და მთავარი აქტორია, ახსენებს მას დედის ჩონგურს, ბევრ ღირებულებასთან და ღირსებასთან ერთად კარგა ხნის მივიწყებულს. დოდოს მიერ ჩონგურზე შესრულებული დედის იავნანა, ტკბილ-მწარე მოგონებებს უღვივებს ანდროს, წარსულში გადაჰყავს და იმ, როგორც თავად აღნიშნავს, ,,კარგ დროს" ახსენებს, როცა ციმბირში გადასახლებულს დედამ ჩონგურით ჩააკითხა და ,,იქ, ბარაკში, აქოთებულ საყინულეში, კართან დაჯდა და სწორედ ეს ლექსი იმღერა…ყველა მოჯადოებული უსმენდა, შელოცვასავით იყო…" [8; 337]. ბავშვობაში ხშირად ადებდა ხოლმე დედა მკერდზე თითს პატარა ანდროს და ეტყოდა: ,,აი, აქ პაწია ჩიტი ცხოვრობს. დახტის, და ჭიკჭიკებს. შენს ცრემლებს კენკავსო…" [8:338]. სწორედ ამ დედისგან ნაანდერძებ ჰუმანურ საწყისს, ,,ჩიტს", ვერ გაუფრთხილდა, ვერ მოუარა მახინჯ სისტემასთან გაიგივებულმა და ძალაუფლების ტყვეობაში მოქცეულმა ანდრომ და საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ: ,,ჭალაში კი არა, აი აქ (ცოლს მკერდზე ადებს თითს-ხაზგასმა ჩვენია) კვდება თურმე ჩიტი."

ანდროს ეს დაგვიანებული აღტკინება და პროტესტი საკუთარ თავთან სავსებით მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა მისი გარემოცვისთვის, სიბერეში ,,შეყრილი საყმაწვილო სენი", დროებითი სისუსტე, არაფრის მომცემი ფილოსოფია, ყალბი პოეზია (ოცნება) და მეტი არაფერი: ,,როგორ შეიძლება დღეს ადამიანი პატიოსანი იყოს, მით უმეტეს, ნორმალური ადამიანი, თანაც ჩვენთან!"- ასეთია მათი შეფასებითი დამოკიდებულება არსებული რეალობისადი, რომელიც თავად შექმნეს და რომელშიდაც საკმაოდ ,,ლაღად" გრძნობენ თავს…,,დიდ ქვაბში არ ეტეოდა პატარაში ლაღად იყო"...

,,დისიდენტობიდან პირდაპირ ხელისუფლების სავარძელში გადაბრძანებულის" (როგორც ცოლი უწოდებს) ტრაგიზმი იწყება მაშინ, როცა ანდრო ახერხებს ერთი მხრივ, საზოგადოებრივი რეალიზმის მთელ სისასტიკესთან და მეორე მხრივ, ჰუმანურ საწყისებთან საკუთარი თავის გაიგივებას და ცდილობს არსებული რეალობის შეცვლას. სწორედ აქ იწყება მისი ემოციური კათარზისი, შინაგანი თავისუფლება, შიშისა და უარყოფითი ემოციების დაძლევა, რასაც, საბოლოოდ, გონებისა და სულის განწმენდისკენ, შეცნობისკენ მიჰყავს გმირი/ანტიგმირი, თუმცა იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ ეს დასაწყისის დასასრულია.

პიესაში მოქმედება ისე ვითარდება, რომ ღალატის სუნი ყველგან და ყველაფერში იგრძნობა, თუმცა ფინალში მოულოდნელობის ეფექტი მაინც საკმაოდ მძაფრია. ანდროს სიზმარში ნანახი გაურკვეველი წარმომავლობის და კაცის გრძელი პალტოთი შემოსილი ქალბატონი, რომელსაც დოდოს სახე ჰქონდა და თან არც ჰქონდა, გამოეცხადება თითქოსდა დახმარების სათხოვნელად და მარყუჟიანი პისტოლეტით სიცოცხლეს გამოასალმებს. ანდრო განაჩენს მომზადებული ეგებება, არც კითხვებს სვამს, არც ის აინტერესებს საიდან მოვიდა და როგორც, მთავარია რომ მოვიდა და ხსნას სწორედ მისგან ელოდება. გულმხურვალე მლოცველივით სახეზე ხელებაფარებული მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებს: გმადლობ, ღმერთო, რომ არსებობ! გმადლობ, ღმერთო, რომ არსებობ!

ქალი ესვრის.

ანდრო ეცემა.

მთავარი მოულოდნელობა და კულმინაცია წინ ელოდება მკითხველს - ოთახში აუღელვებლად შემოდის დოდო, ანდროს საყვარელი ცოლი, წმენდს მკვლელობის იარაღს, ხელში უდებს ანდროს, ორ ზარს განახორციელებს, ერთით დავალების სისრულეში მოყვანას ამცნობს მავანს და მეორით ვაჟას, ანდროს ,,ერთგულ" დაცვას მოიხმობს ბოლო დეტალების დასასრულებლად.

მკვლელობის ეპიზოდის შემდეგ ავანსცენაზე კვლავ შემოდის ანდროს დაინვალიდებული, მეხსიერებადაკარგული მამა, დავითი, რომელიც ჯერ შვილის გვამს უყურებს სასოწარკვეთილი, მერე რძალს და გაბზარული, ტირილგარეული ხმით, უკვე ისტერიულად იწყებს ყვირილს - გაუმარჯოს თავისუფლებას! ეს ენობრივ- ვიზიალური სურათი, ერთგვარი იმაგო, რეფრენად გასდევს მთელს დრამას და სიუჟეტურ-კომპოზიციურად კრავს მთლიან ტექსტს.

დავითი იდეას შეწირული ქართველის პროტოტიპია - ,,ვინც თავისუფლებისთვის იბრძვის, ყველა მართალია" - მის გმირში თითქოს მთელი ეპოქაა ასახული, დისიდენტობიდან დღემდე, ურთულესი, ტანჯვით სავსე გზა, რომლის დასასრულიც არც ისე ტკბილი აღმოჩნდა. ქვეყანა ისევ მოღალატეების, მკვლელების, ხალხთმოძულეების ხელშია საჯიჯგნად. ადამიანები, რომლებიც ამ სათაყვანებელი იდეისთვის, ცნობიერად თუ არაცნობიერად, იბრძოდნენ, დღეს სახედაკარგულნი, ცხოველურ ინსტიქტებზე დასულნი, ,,სულიერად დაინვალი-დებულნი" ხვდებიან თავისუფლებას. ჭილაძისეული პერსონაჟებიც საკუთარ თავში სწორედ იმ მიზნებისა და ზრახვების მატარებლები არიან, რაც კაცობრიობის ცნობიერებას ყოველ ეპოქასა თუ ისტორიულ მონაკვეთში აღელვებდა და აღელვებს. სამწუხარო პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა დემოკრატიულ სახელმწიფო მოწყობაშიც ისევე აქტუალურია, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის განვლილ საფეხურებზე. მთავარი პრობლემა იდეის არსის წვდომასა და გააზრებაშია, მარცხი, ყოველთვის, სწორედ არსის გაუცნობიე-რებლობით არის განპირობებული - ,,ისე ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, არ ვიცოდით რა იყო ნამდვილი თავისუფლება" - სინანულით და გულისტკივილით აღნიშნავს პიესის გმირი ანდრო, რომელიც ერთადერთია პერსონაჟთა შორის, ვისაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ადამიანური ღირებულებები, მართალია სერიოზული შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობრიობის ფონზე, მაგრამ მაინც ცდილობს დაუბრუნდეს ჰუმანურ საწყისს, რაც ხდება კიდეც მისი საბოლოო განადგურების საფუძველი.

,,თავისუფლება" თავის მხრივ პარადოქსული ცნებაა, მხოლოდ ჭეშმარიტების ძიების გზამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი, როგორც თავისუფალი ნებელობის მატარებელი არსება, სრულ თავისუფლებამდე. სწორედ ამ გზას გადის პიესის მთავარი გმირი, რომელსაც საკმაოდ რთული, სხვადასხვა ეტაპები ახლავს: ჯერ სირცხვილი, მერე შიში, მერე სინდისის ქეჯნა, მერე სინანული, მერე გაუცხოვება, ნოსტალგია საკუთარ პიროვნებაზე, შიშის დაძლევა და შინაგანი თავისუფლების მოპოვება. ანდროს პარადოქსული ცხოვრების ,,ზღაპარი" სრულდება. თავისუფლების, ოცნების, ბედნიერების, ლაღი ცხოვრების ,,ჩიტი", რომელსაც ფრთები უნდა შეესხა და ადამიანებისათვის კეთილდღეობა მოეტანა, მის გულში კვდება, თუმცა მაინც გადარჩენის იმედით და რწმენით: ,,გმადლობ, ღმერთო, რომ არსებობ! გმადლობ, ღმერთო, რომ არსებობ!"

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი ნ. (2012): შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. გამომცემლობა ,,მერიდიანი". თბილისი.

2. გობიანი გ. (2020): წერით მასალაზე მუშაობის მეცნიერული კრიტერიუმები (თამაზ ჭილაძის - ,,სარკე ბრმებისთვის"). ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე" N2(16) გვ. 117-130

3. ტრაპაიძე ქ. (2021): ეთიკური პარადოქსის ნიმუშები ეკრანზე. ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული #1/11) file:///C:/Users/guranda.gobiani/Downloads/admin,+JAMR-142-149.pdf

4. ყულიჯანაშვილი აკ. (2006): ესთეთიკა. გამომცემლობა ,,მერიდიანი". თბილისი.

5. ჩხარტიშვილი ლ. (2008): ესკიზი რეცენზიისათვის ,,ჭალას ჩიტი მომკვდარიყო". ჟურნალი რეზონანსი N15. http://lashachkhartishvili.blogspot.com/2020/09/blog-post_19.html (25.09.2020)

6. ცაგარელი ლ. (2008): ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალობის სიგნალი. სამეცნიერო ჟურნალი ,,სემიოტიკა" N3. თბილისი.

7. ჭილაძე თ. (2014): ჩემი თეატრი. გამომცემლობა ,,ინტელექტი". თბილისი. 415გვ.

8. ჭილაძე თ. (2016): სასიცოცხლო სივრცე (დიალოგები). გამომცემლობა ,,ინტელექტი". თბილისი. 324 გვ.

Guranda Gobiani
Kutaisi University
Kutaisi, Georgia

Folk paradox and concept of "disabled" freedom in Tamaz Chiladze's play "Lerts the bird of the swamp die"

Abstract

Paradox of life is rhe driving node of the thought-compositional structure of Tamaz Chiladze's political-psychological drama . The folk poem implicitly exists in the drama and points the reader toparadoxical, contradictory events in life, which makes the plot even more dynamic and expressive.

The cicle of characters presented in the two-act drama is, in fact, the generalized face of the society, which is caught in the grip of power and might by the turning of life's machine and loses its spiritually "disabled" face.